№ 913 შაბათი, 11 სექტემბერი. 1898—1899 შაბათი, 11 სექტემბერი № 913

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10—8 საათამდე და სადამოს 6—? დან „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი [illegible]
ერთის წლით 6 მან., [illegible]
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція д.,
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул.
Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი“
ეღირება 2 მან. 50 კაპ.

გიორგი თეიმურაზის ძე ბარკალაია გულითადის მწუხარებით აუწყებს თვისთა ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 6 ენკენისთვეს გარდაიცვალა ძვირფასი ძმა მისი აზნაური

პეტრე ივანეს ძე ბარკალაია

და სთხოვს მობრძანდნენ სოხუმში, საკუთარს სახლში, გარდაცვალებულის განსვენებაზე დასასწრებლად შაბათს, 11 ენკენისთვეს, სოხუმის სასაფლაოს საყდარში. (3—3)

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა აცხადებს რომ დაცლილია

კავკავის

სკოლის მესამე მასწავლებლის ადგილი და მასწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიჰმართოს გამგეობას. მასწავლებელს ჯამაგირი ექნება 480 მანეთი მხოლოდ იმ პირობით, რომ უსათუოდ გალობა იცოდეს და ხოროს შედგენა შეეძლოს. (5—4)

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი



ქეფირი და კუმისი




ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.
იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—73)
ო. კორონა.

მ. თავართქილაძეების წიგნის მაღაზიებში არის დანიშნული 20 ამ აგვისტოდან, 20 სექტემბრამდის

იაფი ვაჭრობა

იაფად იყიდება ყოველივე სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და განსაკუთრებით ქართული საკუთარი გამოცემანი.
ძმათა თავართქილაძეებისავე სტამბებში, იყიდება ერთი ნახმარი სტამბის დაზგა (Станокъ) 100 მანეთი.
იქვე ისყიდება 24 ცინკის „კლიშე“ „მეფხის ტყაოსანის“ სურათებისა, სტაუროთ, სულ 50 მანეთი. (20—7)

სამშაბათს, 14 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საგანგებო საზოგადო კრება, ქართველთა საალებ-მიცემო ამხანაგობის „შუამავლისა“. კრებამ უნდა განიხილოს დროებითი გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეების მდგომარეობის შესახებ.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

ისყიდება
სახლები
ქ. ტფილისში.

ავლაბარში, თელავის ქუჩა № 17, პირის-პირ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე იქვე სოსიკო მჭედლიშვილთან. (5—4)

ექიმი
კ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერაგი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი [illegible]ლი მ. თ. კოზაანი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ვ. თოფურია
Лѣчебница С. В. Топуріа въ Кутаисѣ

## ახალი ამბავი

—

*** ქართველი ექიმი. ჩვენ შევიტყეთ, რომ ქ. ტფილისში დაესახლა კიდევ ერთი ქართველი ექიმი ნიკო თომას ძე ერისთავი, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც დაბრუნდა თავის სამშობლოში ქალაქ მოსკოვიდან. პირველად ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ბ-ნი ერისთავი 1892 წ. ხარკოვის უნივერსიტეტში იქმნა მიწერილი საექიმო ფაკულტეტზე. აქ ხარკოვის უნივერსიტეტში დაჰყო მხოლოდ პირველი და მეორე კურსი. 1894 წ. ქრისტეშობისთვეში გადაიყვანეს, მისივე თხოვნისამებრ, მოსკოვის უნივერსიტეტში. აქ 1897 წ. დაამთავრა კურსი; 198⁸/₉ აკადემიური წელიწადი დატოვებული იყო ექიმად-ექსტერნად შინაგან ავადმყოფობის პროფესორ კ. მ. პავლინოვის კლინიკაში.

*** სტაროსელსკის მკვლელობის პოვნა. როგორც გაზეთი „კასპი“ იუწყება, ბაქოს პოლიციას მიუგნია სტაროსელსკის ნამდვილი მკვლელებისათვის. საქმე კიდეც სწარმოებს პროკურორის ხელმძღვანელობით გამომძიებელის მიერ. ამ მკვლელობის გამო რამდენიმე კაცი კიდეც განასამართლეს და ბაკიხანოვს ციმბირიც გადაუწყვიტეს.

*** პურის საცხობის ქარხანა. „ნოვ. ობოზ.“ იუწყება, რომ ბ-ნ ალიხანოვს თხოვნით მიუმართნია ქალაქისათვის, ნება დამრთეთ ზოგიერთს ადგილებში, სადაც დიდი მოძრაობაა ხალხისა ფარდულები ავაშენო, სადაც უნდა ვყიდო პური ჩემს ქარხანაში გამომცხვარიო.

პურს მსურველებს სახლშიც მიაწოდებენ.

*** ტერმინების შესახებ. ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ჩემს წერილს პასუხად ბატონ გურულ-მეგრელისა.

ბატონი გურულ-მეგრელი ბძანებს, რომ ქ. ნატალია დარეჯანაშვილის ნაწერები შესახებ უხორცო საჭმელების მომზადებისა მეტად სასიამოვნო შეიქმნა მეოჯახე ქალებისათვისაო, მაგრამ ამ წერილებში შხირად იმისთანა სიტყვები (ტერმინები) ურევია, რომ ამ ტერმინების გაგება შეუძლებელი გახდა ჩვენი იმერეთის ქალებისათვის.

მოჰყავს მაგალითები. ალყათ, მათლაფი, ზირიშკი, კირკაჟი, და სხვა. ამაზედ მე უნდა მოგახსენოთ, ბატონო გურულ-მეგრელო, რომ ეს ზემოთ მოხსენებული სიტყვები არის მიღებული და ხმარობენ მთელ ქართლ-კახეთში, და არის ნამდვილი ქართული სიტყვები და თუ რომ იმერეთის მხრის ქალები ვერ გაიგებენ ამ სიტყვებს, ამაში მე არა ვარ დამნაშავე, რადგანაც გაზეთებში იბეჭდება წერილები მარტო ქართულ ენაზედ და რომ ყველა თქვენი ქალებისათვის გაუგებარ სიტყვები ყველა შენიშვნებით ავხსნათ, მაშინ ამ ჩემს ნაწერებს მიეცემათ ლექსიკონის ხასიათი და არა წერილებისა, ამისათვის მე ბოდიშს ვიხდი ყველა იმ პირებთან, მაგალითად: იმერლის, თუშების, ინგილოების და ოსების ქალებთან, რომ მათთვის გაუგებარს სიტყვებს ვერ ავხსნი შენიშვნით, რადგანაც ამისათვის საჭიროა სხვა და სხვა ლექსიკონების ცნობები და დიდი დრო.

ნატალია დარეჯანაშვილისა.

*** **თელავი.** შეწუხება ჩარჩებისაგან. მოგვაბეზრეს ლავი ჩარჩებმა და წვრილმა მოვაჭრეებმა, აღარაფერს აღარ გვარჩენენ პატარა ხეირიან თელავში შემოტანილ სანოვაგეს. მოგეხსენებათ თელავში დილ-დილით ახლომახლო სოფლებიდან შემოაქვთ სანოვაგე და სხვა და სხვა ხილეულობა მაგ: ყურძენი, ატამი, ლეღვი, მსხალი, ვაშლი, ქლიავი, და სხვ. რა-მწამს შემოაქვთ, იქვე უხვდებიან მოვაჭრეები ხელში „ბეზმენტით“ ასწონავს რაც კარგი და თავანკარი იქნება და ყიდულობენ ნახევარ ფასად, ასე რომ როცა თელაველნი გადიან ან სულ არა უხვდებათ რა ან არა და მარტო ანარჩევილა; მერე როცა ხეირიან ვერაფერს ვერ იშოვნიან, მაშინ, რაღა თქმა უნდა, რომ იმათგან ყიდულობენ გირვანქობით ძრიელ ძვირად. რასაკვირველია, იმათ ასეთი საქციელი აკრძალული აქვთ, 12 საათამდის ან იმ დრომდის ვიდრე ხალხი გამოვა და თავიანთთვის იყიდიან, თელავის თვით მმართველობისაგან მაგრამ რა! განა ისინი მარტო სიტყვით მოიშლიან რაც თავიანთი სასარგებლოა თუ არა საქმით და ძალ-დატანებით? იმათ არავინ უშლის ასეთ საქციელს და ისინიც სარგებლობენ ამით, და აღარაფერს არ გვარჩენენ. ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საშინელი უსუფთაობა და არეულობაა ხოლმე დილ-დილით იარმუკაზე. ამდენი სანოვაგე და ხილეულობა მოაქვთ ხოლმე ყოველ დღე ზოგს ცხენით და ზოგს-კი თვითონ ცხენის პატივი, ხილეულობის ნაფცქვენი და ქერქი (დილ-დილით ზოგნი იქვე ყიდულობენ და სჭამენ) იქაურობა სავსეა და ამის მოსუფთავებას ხომ არავინ არა ჰფიქრობს. წინად ერთი ცუდა კაცი იყო, რომელიც ჰგვიდა, მაგრამ ისევ დაუგველობა სჯობდა ისეთი ჩხუბი და აყალ-მაყალი ჰქონდა ხოლმე მეორე დღეს; ჩამოუვლიდა თითო დედაკაცს და ზოგს რას ართმევდა ძალათი და ზოგს რას; ასეთი საქციელი თელაველებს კარგათ მიაჩნდათ და აქეზებდნენ ისეთდაც სიხარბისაგან გადარეულ კაცს. კარგი იქნება თელავის პატრონ-მამეებმა ცოტათი მაინც ყურადღება მიაქციონ იარმუკას, სისუფთავე დაიცვან და მოვაჭრეებსაც აუკრძალონ ასეთი საქციელი.

განდევნილი

# მცენარეთა მეტყველება

(ვუძღვნი მოსკოვის ქართველ სტუდენტებს)

ანატომია.

(შემდეგი *)

ხის ღეროებზე და ტოტებზე საფარავი ქსოვილის უჯრედების გარსი პროპკად იქცევა და იფარავს მცენარეს ავი დარისაგან: ამ გვარად სუყველა ხეზე და ბუჩქზე არის ეს პროპკოვანი ქსოვილის უჯრედები, მხოლოდ ზოგი ერთ მცენარების ღეროზე კი ძლიერ სქელია, ასე რომ აჭრიან და ჰყიდიან. მაგალითათ, პროპკის მუხაზე. ლაფანის *) (луб) ეს ქსოვილი მდებიარებს ქერქის ქვეშ და შედგენილია გძელი ძაფვგვარი უჯრედებისაგან; ამ ქსოვილს მცენარესას ხმარობენ სხვა და სხვა ნაირად. მაგალითად, სელის (ленъ) ლაფანისაგან ჯერ ძაფებს აკეთებენ, შემდეგ ტილოებსართავენ და რაც უფრო ნაზი და გრძელი უჯრედებისაგან იქნება გაკეთებული ძაფი, მით უფრო უკეთესია ტილო. აგრეთვე ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს კანაფას (канапдя) ლაფნის ქსოვილს, რომლისაგანაც აკეთებენ მსხვილ ტილოებს და თოკებს; ქსოვილს მცენარეს სიცოცხლეში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ამის უჯრედებში მოძრაობს ფოთელში გაკეთებული ორგანიული ნივთიერებანი; ლაფნის უჯრედები არი გახევებული უჯრედებისაგან არიან შედგენილნი ლაფნის ქსოვილი ქერქს ქვეშ არის და მაშასადამე მრავალ წლოვან ხეს ირგვლივ აკრავს როგორც ქერქი. თუ ლაფნის ქსოვილის ქვეშ პირდაპირ გახევებული უჯრედებია, ანუ ხის ქსოვილია (древесная ткань) მაშინ მცენარეს ზრდა არ შეუძლიან. მაგალითად პურის მცენარების ღერო სიგანეზე არ იზრდება, რადგანაც აქ ლაფანის ქსოვილის ქვეშ პირდაპირ ხის ქსოვილია თუ ლაფანის ქსოვილის ქვეშ არის ერთ გვარი უჯრედები, რომელთაც მრავლობა შეუძლიანთ, და მაშასადამე, შესდგებიან ცოცხალი უჯრედებისაგან, მაშინ მცენარე სიგანეზე იზრდება, მაგალითად სუყველა მრავალ წლოვან ხეს ლაფანის ქსოვილის ქვეშ აქვს ცოცხალი უჯრედები; ეს უჯრედნი შეადგენენ ერთ ქსოვილს, რომელსაც უწოდებენ გამამრავლებელ ქსოვილს (образ. ткень, камбій). ეს გამამრავლებელი ქსოვილი იძლევა გარეთ ქერქისაკენ ლაფანის ქსოვილს და შიგნით, გულისკენ, ხის ქსოვილს; ხან-დახან ეს სამი ქსოვილი ერთდებიან; ხან კი მარტო ორი ქსოვილი არიან შეერთებული: ხისა და ლაფნისა. ფოთლებზე რომ ძარღვებს ვხედავთ—ეს შესდგება მარტო ხის და ლაფანის ქსოვილისაგან: აი ეს ძარღვები, რომელსაც ჩვენ ფოთელზე ვამჩნევთ, მცენარეს ტანში შედიან და შემდეგ ფესვებამდინ მიდიან ფოთელში ძარღვს გარეთკენ ხის ქსოვილი აქვს და შიგნით ლაფნისა; ღეროში-კი გარეთკენ ლაფანია და შიგნით-კი ხის ქსოვილია.

მ. ზაალიშვილი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 907.

*) გამამრავლებელი და ხის ქსოვილი.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

**ლონდონი.** როგორც იუწყებიან, ლინდენბურგის კამენდანტი ბერბერტონი და ბურების სხვა აფიცრები კომატი-პორტში მიიცვლან, სადაც ბანაკი უნდა დასცენ კომატის ნაპირებზედ. ორჯერ მოელოდებიან რაზმს, რომელიც 250 კაცისაგან შესდგება.

**ვაშინგტონი.** ჩინეთმა წინააღმდეგობა გამოუცხადა თავისს ელჩის პირით შეერთებულის შტატების მთავრობას გენერალის ოტისის ბრძანების გამო, რომლითაც ჩინელებს აღეკრძალათ ფილიპინებში მისვლა. ელჩს გამოუცხადებია, რომ ოტისის მოქმედება ეწინააღმდეგება საერთაშორისო უფლებას და არღვევს არსებულს ხელ-შეკრულებებსაო. მაკ-კინლეი ამ საქმეს დიდ მნიშვნელოვანად სთვლის, რადგანაც მას საერთა-შორისო ხასიათი აქვსო.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭომ პრინციპიალურად დაადგინა აპატიოს დრეიფუსს სასჯელი. პატიებას რამდენისამე დღის შემდეგ გამოაცხადებენ. დრეიფუსმა უკან წაიღო თავისი საკასაციო საჩივარი.

შერერ-კესტნერი გარდაიცვალა.

**პარიზი** დეკრეტმ გადასცა მინისტრთა საბჭოს მოხსენება პორუჩიკის კორნიუსის, რომელიც შეჰხვედროდა კლობბის რაზმის გადარჩენილ წევრებს. კორნიუსის მოხსენება ამოწმებს უკვე ცნობილის ამბავს. ვულემარტო ყოფილა, როდესაც უბრძანებია, ესროლეთ კლობბსაო.

**პრეტორია.** სტატს სეკრეტარს რეიცს გამოუცხადებია ერთის ჟურნალისტისთვის, რომ მთავრობა და საერო კრება თანახმანი არიან მოქმედების შესახებ, რომელსაც ტრანსვაალი დაადგაო. რეიცს უთქვამს ტყუილია ის ხმები, ვითომ მთავრობა და საერო კრება სხვა-და-სხვა აზრისანი იყვნენო „გადაწყვეტილება,—დაუმატნია,—მიღებულია ორანჟეის რესპუბლიკის თანახმობითაო“.

**პარიზი.** იმ დეკრეტს, რომლითაც დრეიფუსს სასჯელი ეპატიება, ხუთშაბათს მოაწერენ ხელს.

**მადრიდი.** დაიწყო იმ საქმის განხილვა, რომელიც კავიტეს გადაცემას შეეხება. წაკითხულ იქმნა საბრალმდებელო ოქმი. ბრალდებულმა მოითხოვა, რომ ადმირალი მონტიხო სამუდამოდ თანამდებობიდგან იქმნას დათხოვნილი.

**პარიზი.** ყოველგვარი ზომები იქმნა მიღებული იმისთვის, რომ დღეს გერენი გამოეყვანათ თავისს საფარიდგან. შაბროლის ქუჩას შემოიარტყეს რესპუბლიკანელთა გვარდიის ჯარის-კაცნი, პოლიციელნი და ცეცხლის მქრობელ რაზმის ჯარის კაცნი. ამბობენ, რომ გერენი მზად არის უწინააღმდე...

...ოდ დაემორჩილოს მთავრობის ბრძანებასაო.

**პარიზი.** 3 საათსა და 30 წუთზედ მილუა და ლაზი გერენის სახლში შევიდნენ. მათ ურჩიეს გერენს დამორჩილებოდა, შემდეგ ქიის კარი გააღეს და გერენი თავისს ამხანაგებითურთ გამოვიდა. იქით-აქედგან გერენს მილვუა და ...ზი ედგნენ. კოშფერი მივიდა ...რენთან და დააპატიმრა. გერენს რავითარი წინააღმდეგობა არ ...უწევია. შემდეგ კოშფერმა ეტლში ჩაისვა და საპყრობილეში წაიყვანა. გერენის ამხანაგები არ დააპატიმრეს; ყველანი თავ თავიანთ სახლში წავიდნენ.

**პარიზი.** პრეზიდენტმა ლუბემ დაათვალიერა გამოფენის შენობათა მუშაობა და წინადადება მისცა მუშაობის ხელმძღვანელთ ერთგულობაში შეეჯიბრონ ერთმანეთს, რათა 1900 წელს საფრანგეთს შეძლება ჰქონდის დაუმტკიცოს თავისს სტუმრებს, რომ ის ისევ ძლიერი და შრომის მოყვარე ერია, როგორც წინათ იყო, და დროებითი უთანხმოებამ ვერ შეაჩერა ის შეესრულებინა თავისი მოვალეობა პროგრესისა და მშვიდობიანობის მხრით.

უმაღლეს სასამართლოს კომიამ აირჩია თავისს პრეზიდენტად ...ნეე, ხოლო ასესორებათ შოირდელე და კაზო. პრეზი...ტი და ასესორები შეუდგნენ ...ოსიეს შესწავლას.

ვულეს წერილით განუცხადებია კლობბისათვის, რომ ჩემი რაზმის უფროსობას არავის დავუთმობო და შენ ისე დაგიხვდები, როგორც მტერსო; ჩემი კაცების მიერ მოწონებულია ასეთი გარდაწყვეტილებაო. უმჯობესად მიმაჩნია ყველაფერი გავსწირო, ვინემ ჩემი ადგილი დაუთმო ისეთს დაუნდობელს კაცს, როგორიც კლობბი არისო.

**პრეტორია.** ორანჟეს რესპუბლიკის რამდენიმე უფროსი აფი...ცერი მოვიდა აქ და თათბირი ჰქონდათ მთავარ სარდალ გენერალ ჟუბერთან.

**პარიზი.** დრეიფუსი გამოვიდა სატუსაღოდგან დილის $2^1/_2$ საათზე, ჩაჯდა კარეტაში ერთს თავისს ნათესავთან ერთად და წავიდა გარშემო გზით რკინის გზის სადგურში. იმის წასვლის დროს არავინ არ დასწრებია. დრეიფუსი თავისი თანამოგზაურით იმ მატარებელში ჩასხდნენ, რომელიც ნანტში მიდის.

**პარიზი.** „საერო საავენტომ“ დაჰბეჭდა შემდეგი განცხადება დრეიფუსისა: „რესპუბლიკის მთავრობამ თავისუფლება დამიბრუნა. ეს თავისუფლება ჩემთვის არაფერია უპატიოდ ამ დღიდგან ვეცდები შევასწორებინო როგორმე ის საშინელი სასამართლოს შეცდომა, რომლის მსხვერპლი გავმხდარვარ. მე მსურს მთელმა საფრანგეთმა შეიტყოს საბოლოო გარდაწყვეტილებიდგან, რომ მე უდანაშაულო ვარ. ჩემი გული მხოლოდ მაშინ დამშვიდდება, როდესაც არ დარჩება არც ერთი ფრანგი და ყველა დარწმუნდება, რომ მე არა ვარ ჩამდენი იმ საზიზღარის საქციელისა, რომელიც სხვამ მოიმოქმედა და მე მომაწერეს.

**ნანტი.** დრეიფუსი დილის 8 საათზედ მოვიდა. თან მოჰყვნენ მათე დრეიფუსი, პოლიციის დირექტორი ვიგიე და ერთიც პოლიციელი. არავინ არ იცოდა ადრევე ეს ამბავი. ესენი ბუფეტში შევიდნენ და შემდეგ ჩასხდნენ მატარებელში, რომელიც 8 საათსა და 58 წუთს ბორდოში უნდა მისულიყო. ისინი მატარებელში პირველ კლასის საზოგადო განყოფილებაში შევიდნენ, რომელიც სხვა მგზავრებით იყო სავსე,— რათა არავის ყურადღება არ მიექციათ. ვიგიე და პოლიციის აგენტი პირველსავე სადგურზედ წავიდნენ და ძმანი დრეიფუსნი მარტონი დასტოვეს. აქ იმ აზრისანი არიან, რომ ძმები რომელსამე შუა სადგურზედ ჩამოვლენ მატარებლიდგან, რომ არავინ იცოდეს ის ადგილი, სადაც იქმნებიანო.

**ბელგრადი.** კნეჟევიჩის საქმე. დღეს დილის სხდომაზედ ბრალმდებელი სცდილობდა უარ-ეყო დამცველთა საბუთები და სთხოვა მოსამართლეებს, განაჩენი დაადგინეთო სამართლიანი, როგორსაც თქვენი სინდისი გეტყვითო. შემდეგ თვით კნეჟევიჩი ჩამოდგა და სთქვა, რომ რადგან ჩემი სიცოცხლე განსაცდელშია, არ მინდა სული დავიმძიმო, უნდა აღვიარო, რომ სულ ტყუილად ჩავაბი საქმეში ოთხი კაცი, რომელთ შესახებაც განვაცხადე, რომ ისინი აქეზებდნენ მეთქი სხვებს მილანი მოეკლათ პაშიჩმა მადლობა შესწირა განგებას, რომ მილანს არა დაუშავდა-რა და იმასთან ერთად სერბიაც გადარჩა. მან აღიარა, რომ რადიკალთა დასმა ბევრი შეცდომა ჩაიდინა, მოსაწონი არ არის ის წიგნაკები, რომელიც სამეფო გვარეულობის წინააღმდეგ არის გამოცემული და სთხოვა მოსამართლეებს, გამამართლეთ, მე მთელს ჩემს სიცოცხლეს შევსწირავ სამეფო გვარეულობის მტრებთან ბრძოლაშიო.


# განცხადებანი

გვსურს რა უცრო გავაფართოვოთ ჩვენი სამანუფაქტურო ვაჭრობა, რომელიც ამ ჟამად სწარმოებს ყარსსა და ალექსანდროპოლეში ჩვენ ამ წლის აგვისტოდან ხელ-ახლად გავხსენით

**სამანუფაქტურო სავაჭრო**

ქ. ტფილისში, სიონის ქუჩაზე ანანოვის ქარვასლაში 1, 2, 3 და 4 №№.

იქვე საქონლის საწყობი გვაქვს შემდეგის ფირმით:

**ძმათა ა. ე. და ს. ბალდასაროვებისა.** (10—8)





მოსკოვის სავაჭრო სახლი

**მ. ლ. როზენბლატ და შვილისა**

ეს ფირმა საკმაოდ ცნობილია მთელს კავკასიაში და ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მან გახსნა განყოფილება

**ტფილისში** სასახლის ქუჩაზე, სათავადაზნაურო ქარვასლაში,

სადაც იყიდება

ჯიბისა, კედლისა და გამაღვიძებელი საათები

**Отдѣленіе Московскаго Торговаго дома**

М. Л. Розенблатъ и С-нъ

(10 – 8) **въ Тифлисѣ**, Дворцовая ул. д. Дворянства.



# ვ. გუნიასხამბა

ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.

ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომია.



!!მიაქციეთ ყურადღება!!

# ჩინეთის მაღაზია

**დ. ფ. დემენტიევისა**

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის ... სასახლის გვერდზე.

**იმემეთ ჩაი** პირველი მოკრებისა 1898 წლისა მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება **წვრილად და პარტიობით**

... ჩვენის ჩაისას დაემობა მანამზე ... და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საპირო და სათამაშო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

**საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი**

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია საჩუქრებისა და ნიშნობისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, ... თბილისში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—68)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,

2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),

3) **Ариѳметики на счетахъ.**

4) **Коммерческой экономіи,**

5) **Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.**

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеніи.**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71.** (100—80)

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ

## для самообразованія

VIII-й г. изд. **# МІРЪ БОЖІЙ** VIII-й г. изд.

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ. листовъ.*

1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и при томъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія предполагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЕТРИСТИКА ОРИГИНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. Вербицкой; «Ришитау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Артура» (путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), разк. Ю. Безродной; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Горькаго; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; разсказы г.г. Бунина, Патапенко, Станюковича, Чирикова.

**Научныя статьи и сочиненія.** «Антропологическіе очерки» проф. Брандта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», В. Битнера; «Чарльзъ Парнель», Ев. Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», часть III. П. Милюкова. «Александръ I и его время», А. Прѣсякова: «А. С. Пушкинъ (юбилейная статья). Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Иванова. «Ада Негри», В. я Фритче: «Очерки по соціальной экономіи», прив.-доц. М. Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Крживицкаго; «Положеніе труда въ Аангліи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріусъ и эмпиріокритицизмъ», проф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, ея настоящее и будущее, д-ра философіи В. Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной философіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Религія красоты» (джонъ Рескинъ и его идеи), Сизерана; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки, техники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тайныхъ обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отделы. Критическія замѣтки. Изъ западной литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Текущія научныя новости. Библіографія. Новости иностранной литературы.

## УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

| | |
|---|---|
| Съ доставкой и пересылкой во всѣ гороса Россіи на годъ | 8 руб. |
| Безъ доставки на годъ | 7 » |
| За границу на годъ | 10 » |

Вмѣсто разсрочки допускается подписка:

**По полугодіямъ;**

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р.

За границу . . . 5 р.

Безъ доставки по соглашенію конторой

**по третямъ года:**

Съ доставкой и пересылкой в города Россіи;

| | |
|---|---|
| въ январѣ | 3 р. |
| » маѣ | 3 р. |
| » сентябрѣ | 2 р. |
| За границу: въ январѣ | 4 » |
| » » » маѣ | 3 » |
| » » » сентябрѣ | 3 » |

Адресъ: С.-Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку безъ повышенія подписной цѣны.

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница *А. Давыдова.* Редакторъ *В. П. Острогорскій*

# РОССІЯ

## ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ и ЛИТЕРАТУРНАЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА ГАЗЕТУ **„РОССІЯ“**

| | съ пересылкою въ россія р. | к. | за границ. р. | к. |
|---|---|---|---|---|
| На годъ | 12 | — | 24 | — |
| » 11 мѣсяц. | 11 | 10 | 22 | 20 |
| « 10 » | 10 | 20 | 20 | 40 |
| » 9 » | 9 | 30 | 18 | 60 |
| » 8 » | 8 | 40 | 16 | 80 |
| » 7 » | 7 | 50 | 15 | — |

| | съ пересылкою въ россія р. | к. | за границ. р. | к. |
|---|---|---|---|---|
| На 6 мѣсяц. | 6 | 60 | 13 | 20 |
| » 5 » | 5 | 70 | 11 | 40 |
| » 4 » | 4 | 80 | 9 | 60 |
| » 3 » | 3 | 90 | 7 | 80 |
| » 2 » | 3 | — | 6 | — |
| » 1 » | 1 | 60 | 3 | 20 |

**ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:**

Въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ газеты «Россія (Невскій № 86).

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ: для служащихъ—третлямъ чрезъ ихъ казначеевъ; неслужашіе же могутъ обращаться съ оим заяваенями въ С. Петербургѣ (Невскій № 86).

З перемѣну адреѣсса уплаиивается 40 коп. Отделрные нумера газеты «Россія» продается по 6 коп.

**ПРІЕМЪ И ПЕЧАТАНІЕ ОБЪЯВЛЕНІИ:**

Плата за объявленіе: впереди текста за каждую строку петита по 50 коп позади текста по 25 коп. Контора газеты открыта ежедневно съ 10 ч. до 6 часовъ по полудни; редакція газеты открыта съ 1 часу пополудни до 10 часовъ вечера. Редакторъ принимаетъ для личныхъ объясненій ежедневно отъ 2 до 5 часовъ пополудни.

Доставляемыя въ редакцію статьи должны бытъ за подписью и съ адресомъ автора, безъ чего онѣ печмтаемы не будутъ. Статьи, доставляемы безъ обозначенія условій, оплачиваются по усмотрѣнію редакціи. Рукописи яне возвращаются.

**завѣдуютъ отдѣлами:**

1) Финансовымъ, экономическимъ, земскимъ и крестьянскимъ: Г. П. Сазоновъ,
2) Литературнымъ и политическимъ: А. В. Амфитеатровъ.
3 Научнымъ: профессоръ П. И. Ковалевскій, dr. И. Л. Янушкевичъ.
4) Внутреннихъ вопросовъ: М. П. Петровъ.
5) Иностраннымъ: Л. Ю. Гольштейнъ.
6) Музыкальнымъ: профессоръ Н. Ѳ. Соловьевъ и Я. А. Рубинштейнъ.
7) Художественнымъ И. Ф. Порфировъ.
8) Хроники: А. Н. Чермный.
9) Провинціальной хроники: М. В. Головинскій.
10) Театральной хроники: Ю. Д. Бѣляевъ.
11) Московскимъ: В. А. Гѣляровскій.

Общественный фельетонъ—по воскресеньямъ—Old Gentlemаn.

Провинціальный фельетонъ—по субботамъ—В. М. Дорошевичъ.

По средамъ печатается «Милліонеръ» повѣсть В. Г. Авсѣенко.

Постоянный корреспондентъ въ Парижѣ: А. П. Плетневъ.

Корреспондентъ въ спеціальной командировкѣ по недороднымъ мѣстн[остямъ] Сергѣй Печоринъ (С. А. Сафо[новъ]).

Постоянные собственные корреспонденты въ Вѣнѣ, Львовѣ, Варшавѣ, Софіи, Константинополѣ, Одессѣ и т. д.

(8—8)

## подписная цѣна на газету

# „СВѢТЪ“

## „СЪ ПРИЛОЖЕНІЕМЪ РОМАНОВЪ“

съ пересылкою и доставкою

**На четверть года:**

съ 1 января по 1 апрѣля . . . . . . .
« 1 апрѣля по 1 іюля . . . . . . . .
« 1 іюля по 1 октября . . . . . . .
« 1 октября по 31 декабря . . . . . . 2 р.

**На полгода:**

съ января или съ 1 іюля . . . . . . . . 4 —

**На девять мѣсяцевъ:**

съ 1 апрѣля . . . . . . . . . . 6 —

**На годъ:**

съ 1 января . . . . . . . . . . 8 —

**На иные сроки подписка не принимается.**

ПРИМѢЧАНІЕ. Подписка на « Приложеніе Романовъ къ газетѣ «СВѢТЪ» принимается лишь одновременно и нераздѣльно съ газетою на одинъ и тотъ же срокъ. Лица, выписавшія одну газету, могутъ получить впослѣдствіи «Приложеніе Романовъ» не иначе, какъ выписавъ новый экземпляръ газеты съ «Приложеніемъ».

**Адресъ Редакціи: спб. Невскій, 138.**

Редакторъ-Издатель **В. В. Комаровъ.**


Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Сентября 1899 г.